



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Spatial-territorial Planning and Infrastructure Commission

N 13404-02
01/11/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.


დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ტუხაშვილი

საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გიორგი ტუხაშვილი

საანგარიშო პერიოდი: 20.11.2017 – 01.11.2018

თანამდებობა:

1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წევრი

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

დროებითი სამუშაო ჯგუფი:

1. ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

- ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1. „მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის“
წევრი (20.11.2017-23.10.2018)

ჩატარდა - 13 სხდომა

დასწრება - 13 სხდომა

2. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ წევრი.

ჩატარდა - 9 სხდომა

დასწრება - 8 სხდომა

-
- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 27 სხდომა (13 რიგითი, 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 25 სხდომა

ბიუროს სხდომის რაოდენობა: 25 სხდომა

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 24 სხდომა

-
- საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

70 დადგენილება

178 განკარგულება

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა;
- კომისიები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

ჩატარდა - 13 სხდომა

დასწრება - 13 სხდომა

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“:

ჩატარდა - 1 სხდომა

- დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 5 სხდომა

დასწრება - 4 სხდომა

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;
- გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2017 – 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა

❖ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩემი ინიციატივით განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩების სახელდება, კერძოდ:

გაგრძელდა დავით აღმაშენებლის გამზირი და მასთან არსებულ ხუთ უსახელო გასასვლელს მიენიჭა დავით აღმაშენებლის გამზირის I, II, III, IV და V გასასვლელის სახელი; გაგრძელდა თორნიკე ერისთავის ქუჩა; ალუბლების ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭა ალუბლების ქუჩის გასასვლელის სახელი; გოგი დოლიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭა გოგი დოლიძის I გასასვლელის სახელი; ქალაქ რუსთავში, VII^ბ მიკრო რაიონში არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭა მურმან ლებანიძის სახელი, ხოლო მასთან არსებულ ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭა მურმან ლებანიძის ქუჩის I და II გასასვლელის სახელი; მერაბ კოსტავას გამზირის დასაწყისიდან, 9 აპრილის

გმირთა მემორიალამდე დამაკავშირებელ უსახელო გზას (ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთს), მიენიჭა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხეივნის სახელი.

შევსების თარიღი: 01.11.2018 წელი.

ხელმოწერა: გიორგი ტუხაშვილი